ხელშეკრულება 202/19

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია 2011 წლის 21 დეკემბერს, ერთის მხრივ №202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა (შემდგომში "შემკვეთი"), ს/კ №206091398, მისამართი: თბილისი, გუთნის ქ. №6 – წარმომადგენელი ხათუნა ჯალაღონია და მეორეს მხრივ "ნერვული სნეულებებით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის არასამთავრობო კავშირს" შორის (შემდგომში "შემსრულებელი") წარმოდგენილი თავმჯდომარის ირაკლი ნატროშვილის სახით შორის შემდეგზე:

მუხლი 1 შესასრულებელი მომსახურება (სამუშაო)

1.1 შემსრულებელი თანახმაა შეასრულოს შემდეგი მომსახურება (სამუშაო) შემკვეთისთვის ქვემოთ მითითებული ანაზღაურების სანაცვლოდ: შემსრულებელი დაუმზადებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის:

1.2 1 (ერთი) ადაპტირებულ მერხს;

1.3 1 (ერთი) ადაპტირებულ სკამს;

1.4 დამზადებული პროდუქციის ტრანსპორტირება უნდა მოახდინოს "შემკვეთმა".
ჩამოთვლილი პროდუქციის მოკლე დახასიათება იხ. დანართი №1.

მუხლი 2 ხელშეკრულების ხანგრძლივობა და შეწყვეტა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი ვადით. "შემსრულებელი" ვალდებულია დაამზადოს აღნიშნული პროდუქცია 2011 წლის 29 დეკემბრამდე.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება საბოლოო თარიღამდე:

(ა) შემკვეთის ინიციატივით ნებისმიერი მიზეზით, ნებისმიერ დროს. ამგვარი შეწყვეტის შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება ხელშეკრულების მოშლამდე შემსრულებლის მიერ განხორციელებული მომსახურება (სამუშაო) და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი;

(ბ) შემკვეთის ინიციატივით საპატიო მიზეზით. წინამდებაერ ხელშეკრულების მიზნებისთვის საპატიო მიზეზად ჩაითვლება მომსახურების (სამუშაოს) არასათანადოდ შესრულება, გაუმართლებელად მეტი დროის დახარჯვა, ვიდრე სამუშაოს შესრულებისთვისაა აუცილებელი, არაგონივრული ხარჯთაღრიცხვის წარდგენა, უხარისხო მომსახურება და სხვა მიზეზი, რომელიც გონივრული განსჯის შედეგად საპატიოდ ჩაითვლება. ხელშეკრულების ამგვარად შეწყვეტისას შემსრულებელი მიიღებს მხოლოდ მის მიერ შესრულებული მომსახურების (სამუშაოს) და გაწეული გონივრული ხარჯების ანაზღაურებას.

(გ) შემსრულებლის ინიციატივით, თუკი შემკვეთი წერილობითი მოთხოვნიდან ხუთი დღის ვადაში არასაპატიო მიზეზით არ აანაზღაურებს გაწეულ მომსახურებას, თუკი შემკვეთი ვალდებული იყო სრულად ან ნაწილობრივ აენაზღაურებინა მომსახურება (სამუშაო) საბოლოო თარიღამდე;

(დ) შემსრულებლის ინიციატივით საპატიო მიზეზით, თუკი იგი მოსალოდნელ შეწყვეტამდე სულ ცოტა ხუთი დღით ადრე შეატყობინებს ამის შესახებ შემკვეთს. ამ შემთხვევაში შემსრულებელს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ უკვე შესრულებული მომსახურების (სამუშაოს) ანაზღაურება, თუკი შემკვეთს ამგვარი მომსახურების (სამუშაოს) მიმართ აქვს რაიმე ინტერესი.

მუხლი 3 ანაზღაურება

3.1 სახელშეკრულებო თანხა (უნაღდო ანგარიშსწორება) შეადგენს **350 (სამასორმოცდაათი)** ლარს.

3.2 შემსრულებელი არ არის უფლებამოსილი მიიღოს ნებისმიერი სარგებელი, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალსიწინებულისა.

მუხლი 4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია, შემკვეთისათვის შეისყიდოს დაამზადოს და მიაწოდოს შეკვეთილი ინვენტარი (სია და მოკლე დახასიათება თანერთვის - დანართი №1).

4.2 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება (სამუშაო) პირადად, სათანადო გულისხმიერებით და მაღალი პროფესიონალიზმით.

4.3 შემსრულებელი, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს მიყენებული ზიანი.

4.4 შემსრულებელმა ხელშეკრულების პერიოდში და არც მისი შეწყვეტის შემდეგ, მიუხედავად შეწყვეტის მიზეზებისა და საფუძვლებისა, არ უნდა გაანდოს არაუფლებამოსილ პირებს და არ უნდა გამოიყენოს შემკვეთის საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემკვეთი კონკრეტულ წერილობით ნებართვას გასცემს ამის თაობაზე.

4.5 შემკვეთი ვალდებულია:

- დაეხმაროს და ხელი შეუწყოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში; დროულად მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია;
- თავისი მოთხოვნები შეუსაბამოს მოქმედ კანონმდებლობას.

4.6 შემკვეთი ვალდებულია დროულად მე-3 მუხლის თანახმად გადაუხადოს შემსრულებელს შეთანხმებული ანაზღაურება.

მუხლი 5 მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავათა გადაწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეათე თავის მიხედვით, თუკი კანონის ნორმები არ ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.

5.2 ხელშეკრულების მხარეები შეეცდებიან მორიგების გზით გადაწყვიტონ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გზით დავის მოწესრიგება არ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6 სხვადასხვა

6.1 ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ შეიძლება შეიცვალოს, გაუქმდეს ან შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე, არც რაიმე დარღვევა შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას ან გაუქმდეს იმ მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე, რომელსაც არ დაურღვევია ხელშეკრულება.

6.2 სათაურები ხელშეკრულებაში გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობის მიზნით და გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების განმარტებაზე.

ამ ხელშეკრულების რომელიმე მოთხოვნის ან პირობის ნებისმიერ დროს ძალადაკარგულად, არაკანონიერად ან განუხორციელებლად ჩათვლა არ მოახდენს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების დანარჩენი პირობებისა და მოთხოვნების იურიდიულ ძალაზე, კანონიერებასა და განხორციელებადობაზე. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ ყოველ ღონეს იხმარენ რათა შეცვალონ გაუქმებული ან ძალადაკარგული პუნქტები ახლით, თავდაპირველად შეთანხმებული შედეგების მისაღწევად, რათა შეინარჩუნონ წინამდებარე ხელშეკრულების მიზანი და ვადა.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები აუქმებს ამავე საკითხთან დაკავშირებით ყველა ადრე არსებულ მოლაპარაკებას, ურთიერთგაგებას ან შეთანხმებას.

6.5 წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია ქართულ და ინგლისურ ენებზე ორ ეგზემპლარად თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

"შემკვეთი"	"შემსრულებელი"
ქ. თბილისის სსიპ №202 საჯარო სკოლა	"ნერვული სნეულებებით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის არასამთავრობო კავშირი"
სს "თიბისის ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი	მისამართი: თბილისი, ლუბლიანას ქ. №2/6
ბანკის კოდი TBCBGE22	საიდ. № 202168705
ანგ GE64TB1100000340800008	ს.ს "საქართველოს ბანკი"
საიდ. N206091398	ბანკის კოდი: **BAGAGE22**
	ა/ა **GE33BG0000000126873500**
დირექტორი	თავმჯდომარე
ხათუნა ჯალაღონია	ირაკლი ნატროშვილი
21 დეკემბერი 2011 წელი	21 დეკემბერი 2011 წელი

ადაპტაციური ავეჯის აღწერილობა და დახასიათება

№	დასახელება	მოკლე აღწერილობა/დახასიათება	ერთეულის ფასი (ლარი)
1.	ადაპტირებული, ცვლადი სიმაღლის სკამი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისათვის	სკამი შედგება ორი გვერდითა საყრდენი ფეხისაგან, რომლებიც დამზადებული ხისგან. აღნიშნული საყრდენები ერთმანეთს მყარად უკავშირდება რკინის ღერძებით რომლებიც დამაგრებულია ჭანჭიკებით. გვერდითა ზედაპირებზე არის ორი ვერტიკალური ღარი საზურგესათვის და 10-10 ჰორიზონტალური ღარი დასაჯდომი და ფეხების დასადები ზედაპირებისათვის. საზურგე, დასაჯდომი და ფეხების დასადები ზედაპირები დამზადებულია 10 მმ სისქის ფანერისაგან. ფანერის სამივე ზედაპირზე გადაკრულია სპეციალური მასალის გადასაკრავი რომელიც ხელს უშლის ბავშვის ჩამოცურებას.	180
2.	ადაპტირებული, ცვალებადი სიმაღლის მაგიდა ინდივიდუალური მუშაობისათვის	მაგიდა შედგება ზედა და ქვედა ჩარჩოებისაგან, რომლებიც დამზადებულია კვადრატული მილებისაგან. ზედა ჩარჩო მოძრაობს ქვედა ჩარჩოში რაც საშუალებას იძლევა ვცვალოთ მაგიდის სიმაღლე. მაგიდის წინა ორი ფეხი ეყრდნობა მუხრუჭიანი გოგრგოლაჭებს ხოლო უკანა ფეხები უძრავია. ზედა ჩარჩოზე დამაგრებულია ლამინატის ზედაპირი, რომელსაც აქვს რკალოვანი შეჭრა საინვალიდო ეტლით კომფორტული ჯდომისათვის.	170

"შემკვეთი"

ქ. თბილისის სსიპ №202 საჯარო სკოლა

სს "თიბისის ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ GE64TB1100000340800008
საიდ. N206091398

დირექტორი

ხათუნა ჯაფალონია

21 დეკემბერი 2011 წელი

"შემსრულებელი"

"ნერვული სნეულებებით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის არასამთავრობო კავშირი"
მისამართი: თბილისი, ლუბლიანას ქ. №2/6
საიდ. № 202168705
ს.ს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: **BAGAGE22**
ა/ა **GE33BG0000000126873500**

თავმჯდომარე

ირაკლი ნატროშვილი

21 დეკემბერი 2011 წელი